№2525 2014 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, წარმოდგენილს გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდს (WWF) შორის ,,გერმანიის ფინანსური თანამშრომლობა საქართველოსთან ბუნების დაცვის პროგრამა ამიერკავკასიისთვის - ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, 2008 წლის 19 მაისს დადებული კონსულტანტის მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდსა (WWF) და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკს (KfW) შორის დასადები ხელშეკრულების პროექტის მოწონების შესახებ

,,აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126

დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, წარმოდგენილს გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდს (WWF) შორის ,,გერმანიის ფინანსური თანამშრომლობა საქართველოსთან ბუნების დაცვის პროგრამა ამიერკავკასიისთვის - ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში 2008 წლის 19 მაისს დადებული კონსულტანტის მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდსა (WWF) და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკს (KfW) შორის დასადები ხელშეკრულების პროექტი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**